საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-სპეციალური პენიტენციური სამსახური

SPECIAL PENITENTIARY SERVICE

Digitally signed by SPECIAL PENITENTIARY SERVICE
Date: 2020.12.10 17:48:05 +04'00'

სხდომის ჩატარების თარიღი: 10 დეკემბერი, 2020 წელი

სხდომის ჩატარების დრო და ადგილი: ქ.თბილისი 15:00, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N27

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სპეციალური პენიტენციური სამსახურის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისათვის ტენდერების ჩატარების მიზნით სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2019 წლის 26 თებერვლის N1097 ბრძანებით შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი N1

საქვაბეების, თბოტრასის, შიდა და გარე სანტექნიკური და საკანალიზაციო სისტემების (მიმდინარე და კაპიტალური) სარემონტო სამუშაოების შესყიდვის ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე

კომისიის თავმჯდომარე:

1. იულია ტყეშელაშვილი - სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი;

კომისიის წევრები:

2. გიორგი ბოცვაძე - სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
3. გივი ქემოკლიძე - სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
4. ნიკა აბრამიშვილი - სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სასამართლოებში წარმომადგენლობის სამმართველოს უფროსი;

სათათბირო ხმის უფლებით მოწვეული ექსპერტი:

5. გოდერძი ავსაჯანიშვილი - სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის ინფრასტრუქტურული განვითარების სამმართველოს უფროსი;

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:

6. გიორგი კოპალიანი - სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის შესყიდვების სამმართველოს უფროსი;
7. თათია ყურაშვილი - სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის შესყიდვების სამმართველოს I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (სხდომის მდივანი).

დღის წესრიგი:

2021 წლის საბიუჯეტო ასიგნებების საქვაბეების, თბოტრასის, შიდა და გარე სანტექნიკური და საკანალიზაციო სისტემების (მიმდინარე და კაპიტალური) სარემონტო სამუშაოების შესყიდვის ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე სატენდერო განცხადებისა და სატენდერო პირობების დამტკიცება (CPV50700000 - შენობის მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება).

მოისმინეს:

კომისიის აპარატმა მოახსენა კომისიის წევრებს და მოწვეულ ექსპერტს ეკონომიკური დეპარტამენტის ინფრასტრუქტურული განვითარების სამმართველოს მიერ ჩატარებული წინამოსამზადებელი სამუშაოების შესახებ და სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების შესახებ, რომლის საფუძველზე განისაზღვრა სახელშეკრულებო ღირებულება **15`000.00 (თხუთმეტი ათასი ლარი და 00 თეთრი)** ლარის ოდენობით, ხოლო შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულება განსაზღვრულია ჩატარებული ბაზრის კვლევის ანალიზის შედეგად და პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვრა **48`744.09 (ორმოცდარვა ათას შვიდას ორმოცდაოთხი ლარი და 09 თეთრი)** ლარის ოდენობით. ამასთან, სახელმწიფო შესყიდვების 2021 წლის წლიური გეგმის შესაბამისად CPV-50700000 კოდზე განსაზღვრულია ელექტრონული ტენდერის პროცედურის განხორციელება ,,სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის 15[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად.

სატენდერო კომისიას წარედგინა სატენდერო აპარატის მიერ მომზადებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ სატენდერო განცხადების და სატენდერო პირობების პროექტები.

აზრი გამოთქვეს:
სატენდერო კომისია და მოწვეული ექსპერტი დეტალურად გაეცნენ როგორც სატენდერო კომისიის აპარატის მიერ მომზადებულ სატენდერო მასალებს, ასევე აპარატის ხელთ არსებულ ყველა სხვა ინფორმაციას და დოკუმენტს.

სატენდერო კომისიამ და მოწვეულმა ექსპერტმა განიხილეს ზემოაღნიშნული მასალები და აღნიშნულის საფუძველზე განაცხადეს, რომ ძირითადად ფასი შეესაბამება დღევანდელ რეალობას. აღნიშნული ფასი მიღებული იქნას შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებად.

კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ მიზანშეწონილია სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს სატენდერო განცხადების და სატენდერო პირობების გამოქვეყნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა.

კენჭისყრის შედეგები:
კომისიის სხდომაზე დამსწრე ყველა კომისიის წევრი დაეთანხმა განხილული საკითხის სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცებას წარმოდგენილი ფორმით.

კომისიამ დაადგინა:

- ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12[1] მუხლის მე-4 პუნქტისა და ,,ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-15 მუხლის შესაბამისად დამტკიცებულ იქნას წარმოდგენილი სატენდერო პირობების პროექტი.

- დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12[1] მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-16 და მე-17 მუხლების შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განათავსოს სატენდერო განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია.

- კომისიის აპარატს დაევალოს განცხადების შესაბამისი წესით გამოქვეყნების უზრუნველყოფა არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა.

კომისიის თავმჯდომარე:

1. იულია ტყეშელაშვილი ----------

კომისიის წევრები:

2. გიორგი ბოცვაძე ----------
3. გივი ქემოკლიძე ----------
4. ნიკა აბრამიშვილი ----------

სათათბირო ხმის უფლებით მოწვეული ექსპერტი:

5. გოდერძი ავსაჯანიშვილი ----------

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:

6. გიორგი კოპალიანი ----------
7. თათია ყურაშვილი ----------